

## განცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს  
შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

1. მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული;

### კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

### კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინოთ:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ე) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები ( ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
- ზ) სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას ( ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
- ი) პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთანდაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კ) შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს ( სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე:  
თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 25 თებერვალი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილის ტ.: 593 234 025, 2 329017